შემუშავებულია
სკოლის დირექტორის მონაწილეობით
დირექტორი: ნუგზარ სურმანიძე

შეთანხმებულია
სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 10 სექტემბერის N1 სხდომაზე.
სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე: ნანა [illegible]

დამტკიცებულია
სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 13 სექტემბერის N1 სხდომაზე.
პედსაბჭოს თავჯდომარე: ირინა ხხარტიშვილი

# სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა

## სკოლის სასწავლო გეგმა

2025-2026 სასწავლო წელი

## სასკოლო სასწავლო გეგმის სარჩევი


1. შესავალი
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია. ხედვა, ღირებულებები_
3. 2025-2026 სასწავლო წლის კალენდარი
4. 025-2026 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები_
5. გაკვეთილების განრიგი (დღის რეჟიმი)
6. სასკოლო საათობრივი ბადე
7. მოსწავლეთა რაოდენობა
8. მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა
9. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა
   - შეფასების მიზანი
   - მოსწავლის შეფასების ამოცანები
   - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება
   - მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა
   - მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით
   - ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები
   - საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)
   - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები
   - შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი
   - შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი
   - ქულების გამოანგარიშების წესი
10. კლასისა და საფეხურის დაძლევა

11. მოსწავლეთა საბაზო და საშუალო საფეხურზე გადაყვანა
12. გაცდენები და შეფასება
13. გამოცდის ტიპები
   სემესტრული გამოცდა
   საშემოდგომო გამოცდა
   ექსტერნატის ფორმით გამოცდა
14. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება
15. საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი
16. შინსწავლება
17. სადამრიგებლო პროგრამა
   კლასის დამრიგებლის მოვალეობები
   დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს
   რეკომენდაცია სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ
18. ინკლუზიური განათლება
   სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე
   ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
   ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი
   სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები
   სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება 20
19. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი
20. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

## შესავალი

2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზეა შედგენილი. შესაბამისად ცვლილებები, რომლებიც შევა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, (დამატებების სახით) აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, დამატებების სახით, რაც ავტომატურად გამოიწვევს წინა ტიპის რეგულაციის გაუქმებას.

- ⇒ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაზიარებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შემოთავაზებული სიახლეები.
- ⇒ საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, თავისი განვითარების პროცესითა და მიღწეული შედეგებით.
- ⇒ გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;
- ⇒ შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას;
- ⇒ ფუნდამენტალური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას პრაქტიკული ცოდნით;

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები.

საქართველოს განათლების კოდექსის, საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ", ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სსიპ ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე, სკოლის სტრატეგიული განვითარების, ერთიანი ღირებულებითი ჩარჩოს ჩამოყალიბებისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-X კლასები) და საშუალო ( XI -XII კლასები) საფეხურზე.

## სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები

სკოლის მისიაა:

1. უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ;
2. პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის აქტიური ჩართულობით შექმნას უსაფრთხო ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებული გარემო;
3. ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას მოსწავლეებში;
4. დანერგოს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები და ინდივიდუალურ;საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების პროცესი;
5. უზრუნველყოს პედაგოგთა მუდმივი განვითარების ხელშეწყობა;
6. მოსწავლეთა ჩართულობა სკოლის ცხოვრების ყველა ასპექტში;

### სკოლის ხედვა

1. სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;
2. ინოვაციური მიდგომებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკების დანერგვა;
3. საზოგადოებასთან პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის განვითარება;
4. პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა;
5. განათლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა;
6. ტექნოლოგიების გააზრებული და მიზნობრივი გამოყენება სასწავლო პროცესში;
7. საგანმანათლებლო ინოვაციების მხარდაჭერა და დანერგვა;
8. თვითმყოფადი, პასუხისმგებლიანი და ეთიკურად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდა;
9. გლობალური გამოწვევების გააზრებისა და მათზე რეაგირების უნარების განვითარება მოსწავლეებში.

10. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება( აკადემიური, სოციალური, ემოციური და ეთიკური ) უსაფრთხო, ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ გარემოში.

## ძირითადი ღირებულებები

1. ადამიანის ღირსება და ეთიკური ჰუმანიზმი;
2. თანასწორობა;
3. ინკლუზია;
4. აკადემიური კეთილსინდისიერება;
5. გამჭვირვალობა;
6. თანამშრომლობა და პარტნიორობა;
7. ინოვაცია და უწყვეტი განვითარება;

## მისიისა და ხედვის განხორციელების პრინციპები

1. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება;
2. ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება;
3. უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემო;
4. ოჯახისა და საზოგადოების ჩართულობა;
5. ხარისხის მონიტორინგი და უწყვეტი გაუმჯობესება;

## საჯაროობა და გაზიარება

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, შიდა დოკუმენტაციაში და თვალსაჩინო ადგილებზე. მათი გაზიარება ხორციელდება მშობლებთან, მოსწავლეებთან და პერსონალთან შეხვედრებისა და საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში.

## *2025 -2026 სასწავლო წლის კალენდარი*

2025-2026 სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.

1. II - XI კლასელებისათვის 171 სასწავლო დღეს მოიცავს; პირველი სემესტრი გრძელდება 75 სასწავლო დღე (იწყება 2025 წლის 15 სექტემბერს და გრძელდება 2025 წლის 29 დეკემბერის ჩათვლით), ხოლო მეორე სემესტრი 96 სასწავლო დღეს (იწყება 2025 წლის 15 იანვარს და მთავრდება 2026 წლის 15 იანვარს).
2. XII კლასელებისათვის 154 სასწავლო დღეს მოიცავს; პირველი სემესტრი გრძელდება 75 სასწავლო დღე (იწყება 2025 წლის 15 სექტემბერს და გრძელდება 2025 წლის 29 დეკემბერის ჩათვლით), ხოლო მეორე სემესტრი 79 სასწავლო დღეს (იწყება 2025 წლის 15 იანვარს და მთავრდება 2026 წლის 20 მაის).
3. I კლასელებისთვის მოიცავს 158 სასწავლო დღეს მოიცავს; პირველი სემესტრი გრძელდება 75 სასწავლო დღე (იწყება 2025 წლის 15 სექტემბერს და გრძელდება 2025 წლის 29 დეკემბერის ჩათვლით), ხოლო მეორე სემესტრი 83 სასწავლო დღეს (იწყება 2025 წლის 15 იანვარს და მთავრდება 2026 წლის 27 მაის).
4. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც. კერძოდ, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია, თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლამი გაცდება სასწავლო დღე/დღეები და იმ შემთხვევაში თუ:

   ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;

   ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს;

   გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.
5. გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 35-40 წუთით. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა სასწავლო პროცესის დროის შემცირების მიზნით.
6. გაკვეთილებს შორის ყველა შესვენების ხანგრძლივობა განსაზღვრულია შინაგანაწესის შესაბამისად

I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;

⇒ II-XII კლასებში გაკვეთილის ხანგძლივობაა 40 წუთი;

⇒ გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს.

გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში:
ა) ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.)
შეამციროს მაქსიმუმ 10 წუთით;
ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს გაზარდოს მაქსიმუმ 10 წუთით.

7. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 5 წუთი.
8. I-IV კლასის ჩათვლით კლასების სწავლება განხორციელდება დაწყებითი სწავლების კორპუსში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქვემო ახალშენის სკოლა. ხოლო V- XII კლასები ძირითად კორპუსში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორთაბათუმის საჯარო სკოლა.

**2024-2025 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები**




## გაკვეთილების განრიგი (დღის რეჟიმი)

*პირველი ცვლა*

| გაკვეთილი | დაწყება | დასრულება | შესვენება | კლასები |
|---|---|---|---|---|
| I | 09:00 | 09:40 | 5 წთ | IX, X, XI, XII |
| II | 09:45 | 10:25 | 5 წთ | |
| III | 10:30 | 11:10 | 5 წთ | |
| IV | 11:15 | 11:55 | 5 წთ | |
| V | 12:00 | 12:40 | 5 წთ | |
| VI | 12:45 | 13:25 | 5 წთ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| VII | 13:30 | 14:10 | 5 წთ | |

მეორე ცვლა

| გაკვეთილი | დაწყება | დასრულება | შესვენება | კლასები |
|---|---|---|---|---|
| I | 14:00 | 14:40 | 5 წთ | II, III, IV, |
| II | 15;45 | 15:25 | 5 წთ | |
| III | 15:30 | 16:10 | 5 წთ | V, VI, VII, VII, |
| IV | 16;15 | 17:55 | 5 წთ | |
| V | 17:00 | 17:40 | 5 წთ | |
| VI | 18:45 | 18:25 | 5 წთ | |
| VII | 18:30 | 19:10 | 5 წთ | |

პირველი კასაელები / მეორე ცვლა

| გაკვეთილი | დაწყება | დასრულება | შესვენება | კლასები |
|---|---|---|---|---|
| I | 14:15 | 14:50 | 5 წთ | I |
| II | 15;55 | 15:30 | 5 წთ | |
| III | 15:35 | 16:10 | 5 წთ | |
| IV | 16;15 | 17:50 | 5 წთ | |
| V | 17:55 | 17:30 | 5 წთ | |

*სასკოლო საათობრივი ბადე*

სასკოლო საათობრივი ბადე მოიცავს თითოეული კლასის მიხედვით სავალდებულო გაკვეთილების განრიგს.
სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით შექმნილია გაკვეთილების ცხრილი, რომელიც აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღეს და დროის მონაკვეთში, რომელი საგანი ისწავლება. აგრეთვე მითითებულია საგნის მასწავლებელი
2025-2026 სასწავლო წელს არჩევითი საგნებია: - XIX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა. (10ა; 10ბ, 10გ, 10დ, 11ა, 11ბ, 11გ, 12ა, 12ა,12ბ, 12გ, 12დ); კომპიუტერული ტექნოლოგიები ისწავლება მე-2, მე-3, მე-4, (1 კვირეული საათი). მე-5, მე-6 (2 კვირეული საათი).

## მოსწავლეთა რაოდენობა

1. თითოეულ კლასში, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 29 მოსწავლით, მაქსიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით.
2. საბაზო და საშუალო საფეხურზე პრიორიტეტულია მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ
კლასში არ აღემატებოდეს 25 მოსწავლეს (გარდა გამონაკლისი შემთხვევისა);
3. დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით;
4.. სკოლაში მოსწავლეთა მიღება, სხვა სკოლაში გადასვლა, პარალელურ კლასში გადასვლა,
კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანა და მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვა ხდება შესაბამისი დებულების საფუძველზე..
5. *2025 -2026 სასწავლო წელს სკოლაში სასკოლო რესურსის შესაბამისად დაკომპლექტდა პირველი-4, მეორე-3, მესამე-5, მეოთხე-4, მეხუთე-5, მეექვსე-4, მეშვიდე-5, მერვე-4, მეცხრე-4, მეათე-4, მეთერთმეტე-3, მეთორმეტე-4. სულ 49 კლასი.*

6. სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა 2025-2026 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით *სკოლაში შექმნილია გერმანული, ფრანგული და რუსული ენის 14 კლას- კომპლექტი-*

*მე- 5ა (რუსული და ფრანგული ენა), მე-5ვ ((რუსული და ფრანგული ენა),*
*მე-7 გ ((რუსული და გერმანული ენა), მე-7. ე (რუსული და ფრანგული ენა),*
*მე- 8ბ (რუსული და ფრანგული ენა), მე -8დ (რუსული და გერმანული ენა),*
*მე- 9 ა (რუსული და გერმანული ენა), მე-9გ (რუსული და ფრანგული ენა),*

*მე-10 ბ (რუსული და გერმანული ენა), მე-10 დ (რუსული და ფრანგული ენა),*
*მე-11ბ (რუსული და ფრანგული ენა), მე-11გ. (რუსული და ფრანგული ენა),*

*მე-12 ბ (რუსული, ფრანგული და გერმანული ენა), მე-12 დ. (რუსული და გერმანული ენა), მე- 5 ა, ბ, დ, -რუსული; მე-6 ა გერმანული, მე-6ბ გერმანული, მე -6გ გერმანული, მე-6 დ -რუსული, მე-7 ა რუსული, მე-7ბ რუსული, მე-7 დ რუსული, მე-8 ა რუსული, მე- 8გ რუსული, მე- 9 ბ რუსული, მე-9 დ რუსული, მე-10 ა რუსული, მე-10 გ რუსული, მე-11 ა რუსული, მე-12 ა რუსული, მე-12 გ რუსული*

## მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი ჯგუფების რვა კათედრა:

- ⇒ დაწყებითი განათლების კათედრა - ხელმძღვანელი *ციური სურმანიძე*
- ⇒ მათემატიკის კათედრა (მათემატიკა და ინფორმატიკა) – ხელმძღვანელი *მაია გურგენაძე;*
- ⇒ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა (ქიმია, ფიზიკა,ბიოლოგია - ბუნებისმეტყველება) კათედრა - ხელმძღვანელი მაგდანა ხაბაძე;
- ⇒ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა – ხელმძღვანელი *დიანა სანიკიძე;*
- ⇒ უცხოური ენების კათედრა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა) –ხელმძღვანელი *ლელა ჭანტურია;*
- ⇒ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) - ხელმძღვანელი *ია კობალაძე;*
- ⇒ ესთეტიკური კათედრა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) – ხელმძღვანელი ნინო რურუა;
- ⇒ ფიზიკური აღზრდა კათედრა – ხელმძღვანელი ჯუმბერ ტარიელაძე;

სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს.

### *კათედრის ფუნქციები*

1. საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
2. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
3. საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა;
4. სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
5. ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
6. რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
7. შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
8. სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის მიერ დირექტორისთვის გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენა;

ყველა კათედრა იკრიბება სასწავლო წლის დასაწყისშივე და ირჩევს კათედრის თავჯდომარეს. განიხილება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამები და არჩეული სახელმძღვანელოები, წლის განმავლობაში მასწავლებლების საჭიროებები, რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი, რა რესურსების გამოყენება იქნება აუცილებელი ეფექტურად სწავლებისას და ა.შ. თითოეულ სემესტრში მინიმუმ ორჯერ აუცილებლად შეიკრიბებიან კათედრის წევრები. ყველა კათედრაზე განიხილება საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების მიმდინარეობა, უნდა მოხდეს პრობლემების გამოვლენა და შეფასება, განისაზღვროს, თუ როგორი ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისთვის საგნობრივ პროგრამებში შედეგების მიღწევა.

საგნობრივი კათედრების წევრთა შეკრება, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ ნებისმიერ დროს

## კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები

კათედრის თავმჯდომარე:

1 უძღვება კათედრის სხდომებს და ხელმოწერით ამტკიცებს სხდომის ოქმებს;
2 სემესტრში ერთხელ ამზადებს ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ, კათედრის სხდომაზე წარსადგენად;
3 კათედრის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირს კომპეტენციის ფარგლებში;
4 უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ორგანიზებას და დროული ჩატარებას;
5 . მონიტორინგს უწევს კათედრის სამუშაო გეგმის შესრულებას და გაწეული საქმიანობას;
6 უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებას და განვითარებისთვის სხვადასხვაღონისძიების (ინტეგრირებული გაკვეთილები, მრგვალი მაგიდები და სხვა) ჩატარებას;
9. კოორდინირებას უწევს კათედრის მუშაობას და უზრუნველყოს ფუნქციების ეფექტურად გადანაწილებას კათედრის წევრთა შორის;
8.. წარუდგენს წინადადებას და რეკომენდაციებს (პედაგოგთა წახალისების მექანიზმების, ექსპერთა მოწვევა ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ) სკოლის დირექციას დაპედაგოგიურ საბჭოს;
9 ხელს უწყობს კათედრებს შორის ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას;
10 აწარმოებს კათედრის დოკუმენტაციას;
11 კათედრის ხელმძღვანელის პორტფოლიო უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
კათედრის სამოქმედო გეგმას;
კათედრის დებულებას;
შეფასების კომპონენტებს შესატყვისი რუბრიკებით;
კათედრის შეხვედრის ამსახველ ოქმს;
კათედრის მუშაობის ანგარიშს;

## მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

## მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

## განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება:
- ⇒ განმსაზღვრელი
- ⇒ განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობის იდენტიფიცირებას და განვითარების დინამიკას
მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის

მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთიმეორიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

## მოსწავლეთა გამსაზღვრელი შეფასების სისტემა

სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი.

ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს პროგრესი თუ რეგრესი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

| ქულები | შეფასების დონეები |
|---|---|
| 10 | მაღალი |
| 9 | |
| 8 | საშუალოზე მაღალი |
| 7 | |
| 6 | საშუალო |
| 5 | |
| 4 | საშუალოზე დაბალი |
| 3 | |
| 2 | დაბალი |
| 1 | |

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის პირველი სემესტრის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.
V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.
V-XII კლასებში ფიზიკური აღზრდა და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

## ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები:

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს: საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის.

- ⇒ ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ⇒ საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება. (სემესტრული გათვალისწინებით;
- ⇒ საგნის წლიური ქულა – სემესტრული ნიშნებიდან

## გამომდინარე შეფასება საგანში

- ⇒ 2025-2026 სასწავლო წელს წლიური ნიშანი გამოითვლება სემესტრული ნიშნებისა და წლიური გამოცდის ნიშნის გათვალისწინებით, კერძოდ, საშუალო არითმეტიკულით.
- ⇒ საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

## საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:




1. საშინაო დავალება
2. საკლასო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

1. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

2. I-V (პირველი სემესტრის) კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
3. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
4. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

## საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს. საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე- გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ასეთ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

## შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა- დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები

### შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება მომდევნო შემაჯამებელ წერამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. სასკოლო-სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების/კრიტერიუმების ნიმუში, რომელიც დანართის სახით თან ერთვის.

### ქულების გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობაა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

## საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;
ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;
გ) საგანი დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საბოლოო ნიშანი 5 ან მეტი.
დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალოარითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;
ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, შესაბამისი მექანიზმებით;

## საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).
გ) დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

## კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. V-VI კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის საბოლოო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ე.ს.გ-ით განსაზღვრულ ყველა შესაბამის საგანში.
2. VII-XII კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ:
მოსწავლის თითოეული საგნის საბოლოო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ე.ს.გ-ით განსაზღვრულ ყველა შესაბამის საგანში.
3. საშემოდგომო წერის ბარიერს.
P.S. კლასის დაძლევისთვის ამ ჩამონათვალის ყველა პუნქტის შესრულება სავალდებულოა.
ა) XII კლასელთათვის სადირექციო წერების შესაბამის დროს ჩატარდება პრეტესტები იმ საგნებში, რომელთაც აირჩევენ მოსწავლეები, რაც ხელს შეუწყობს მათ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში
4. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
5. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
5. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო და საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

## გაცდენები და შეფასება

1. თუ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლემ გააცდინა ერთი სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისთვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი, იგი ამ საგანში არ ფასდება საგნის მასწავლებლის მიერ. ამ შემთხვევაში მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის ფორმით გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. საბაზო საფეხურის მოსწავლის მიერ ერთი სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისთვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტის გაცდენის შემთხვევაში და/ან რომელიმე სემესტრის საპატიოდ გაცდენის შემთხვევაში მოსწავლე ფასდება სკოლის მიერ მხოლოდ ექსტერნატის ფორმით გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
2. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში გაკვეთილის დაწყებისთანავე. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
3. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება პირველი პუნქტით გავრცელებული მოთხოვნები.
4. იმ მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, დირექტორის განკარგულებით „არები" ჩაეთვლებათ საპატიოდ.

## გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2025 -2026 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- ⇒ საშემოდგომო გამოცდა;
- ⇒ ექსტერნატის გამოცდა;
- ⇒ ცენტრალიზებული გამოცდა
- ⇒ ნიშნის ასამაღლებელი გამოცდა (სემესტრული)

## სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
5. სემესტრული გამოცდა ტარდება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

## საშემოდგომო გამოცდა

დაინიშნება:

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები;
2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;
3. მოსწავლე საგნის/საგნების საბოლოო შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);
4. სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობითი ფორმით, სწავლის დამთავრებიდან არაუადრეს ორი კვირისა.

## ექსტერნატის ფორმით გამოცდა

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით; ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები") და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

## საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (სპორტული დარბაზის, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

## საგანმანათლებლო რესურსების ტიპები:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო;
ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო;
გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;
დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
⇒ მათემატიკა: სანგარიში, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი და ა.შ
⇒ ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ;
⇒ საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები.

კომპასი, გლობუსი და ა.შ;
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა
⇒ თვალსაჩინოება, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ.
⇒ სპორტი: ბურთები, ჭადრაკის დაფები და სხვა;
⇒ სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით თან ერთვის გრიფმინიჭებული სასკოლო
სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნება 2025-2026 სასწავლო წელს.

## სადამრიგებლო პროგრამა

### კლასის დამრიგებლის უფლებები

1. მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება;
2. სკოლაში დაიბაროს ბავშვის მშობელი;
3. ისარგებლოს მასწავლებლის ყველა უფლებით.

### კლასის დამრიგებლის ვალდებულებები

1. შეისწავლოს მოსწავლეთა სოციალურ– დემოგრაფიული მონაცემები;
2. დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა–აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ;
3. პერიოდულად აცნობოს მშობელს მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ;
4. აწარმოოს მოსწავლეთა სწრებადობის ყოველდღიური მონიტორინგ;
5. გამოიკვლიოს მოსწავლის მიერ ყოველი გაკვეთილის გაცდენის, ან გაკვეთილზე დაგვიანების მიზეზები და აცნობოს მშობე ლს
6. საგნის მასწავლებლებისგან პერიოდულად მიიღოს ინფორმაცია მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მო სწრების, პიროვნული პრობლემებისა და ზოგადი წარმატებების შესახებ;

7. დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
8. დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი უნარ–ჩვევების განვითარებაში;
9. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს სკოლის ადმინ ისტრაციას;
10. ჩაატაროს მშობელთა და მოსწავლეთა კრებები (წელიწადში მინიმუმ სამჯერ სათანადო ოქმის გაფორმებით);
11. საჭიროების შემთხვევაში მშობელს გაუგზავნოს წერილობითი მოწვევა ან დაუკავშირდეს ტელეფონით;
12. პასუხისმგებელია საკლასო ოთახში განთავსებული ინვენტარის მდგომარეობაზე;
13. საგაკვეთილო პერიოდში სკოლიდან გასვლა შეათანხმოს ადმინისტრაციასთან;
14. აწარმოოს დამრიგებლის პორთფოლიო;
15. განახორციელოს კონტროლი ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების ნიშნების დროულად ზუსტად შეტანაზე სასკოლო დოკუმენტებში
16. მოაწესრიგოს თავის სადამრიგებლო კლასისა და მოსწავლეების დოკუმენტაცია.

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
2. სკოლა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

4. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო პროცესის შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საცნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.

2. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:
ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;
დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

3. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.
4. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.
5. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
6. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

## სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.
4. საბაზო/საშუალო საფეხურის სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30 % და მეტი გაცდენის შემთხვევაში, ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, ექსტერნატის ფორმით აბარებს გამოცდას.

## სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

მიდინარე სასწავლო წელს ამ საჭიროების მოსწავლე არ გვყავს საჭიროების სემთხვევასი შეგვიძლია შევთავაზოთ:

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას გაწგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმმოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელის გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეოკონფერენციები.
6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდაფიზიკური აღზრდისა (სპორტი)) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

⇒ სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.

⇒ სკოლის კიბეებზე გაკეთებულია პანდუსი, რომლის საშუალებითაც ისინი თავისუფლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.

⇒ სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

- ⇒ მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეუძლია სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- ⇒ მასწავლებელს შეუძლია საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ⇒ ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- ⇒ სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- ⇒ სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს შესაბამისი შესაძლებლობის სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ⇒ ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- ⇒ გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ⇒ ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- ⇒ სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.